

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 35.

ხალის-გოწმარა მიიღება რედაქციაში, ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროаგა“.

გაზეთის ღირებულება: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასოთმცხოვრებლის სტრიქონზე—8 კაპ., რეკლამის სტრიქონზე—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბედათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბედავლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პარიში, 18 იანვარს. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად, მარშალის მაკ-მაჰონის მაგიერ, ამოარჩეულია ბრევი შეილი წლის ვადით. ძენჭის-ყრის გათავების შემდეგ, როცა გამოცხადდა, რომ ბრევი არის ამოარჩეული, პონგრესში შეიქმნა გაცხარებული ტაშის-კვრა და ძახილი: „ზაუმარჯას, საფრანგეთის რესპუბლიკას!“

პარიში, 20 იანვარს. სამინისტროს პრეზიდენტმა დიუჟორმა გამოაცხადა მინისტრების კრებაში, რომ იმან გადაწყვიტა სამსახურიდან გამოსვლა, რადგან ახალს მდგომარეობას ახალი კაცები ეჭირებოდა.

პარიში, 20 იანვარს. „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ მეტლიანკაში, პრიშიში, სტარცკში, შდინში და მიხაილოვსკში შავი ჭირით ავითმყოფები აღარ არიან. სოფ. სელიტრიანში 17 იანვარს 5 მოკვდა და ერთი ავით განდა. ჭირით მიცვალებუ-

ლების ტანთსაცმელს სწვენ. ექიმები მარჯვედ მოქმედობენ.

ცარიტინი 18 იანვარს. არც ქალაქში და არც ახლო-მანლო სოფლებში არავითარი ავითმყოფობა არ არის.

პეტერბურლის ბირჟა, 22 იანვარს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	95—75
მეორე —	94—75
მესამესი —	94—75
მეოთხესი —	94—75
აღმოსავლეთის პირ. —	92—62
აღმოსავლეთის მეორე —	91—75
რქრო, 1/2 იმპერიული —	8—60
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი —	—
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის —	230—75
მეორე სესხის —	232—25
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი —	22—94 პენსი
ამსტერდამი —	115—20 ცენტი
ბერლინი —	196—25 ჰენიგი
პარიჟი —	242—50 სანტიმი
ბავესიის კერასინი —	2—10 —

სამართველო

შალაქის რჩევის კრება

21 იანვარს

როგორც მოგეხსენებათ, ამ კვირისთვის შალაქის რჩევის ახალი ხმოვანები მოწვეულნი იყვნენ ამ კვირისთვის, დილის 10 საათზე, შალაქის ახალი თეის ამოსარჩევად.

რადგან ამისთანა მიმე და საინტერესო საქმე ჰქონდათ, ამიტომაც ხმოვანები ბლომად მოგროვდნენ, სულ 67 კაცი იყო (72 ხმოვანში).

სწამა 11 საათზე და 15 მინუტზე გაიხსნა. შევლამე პირველად დაფიცეს ხმოვანები უ. მ. ლ. პ. მლიმიზოვი, როლინოვი, და პ. ი. ბაბანაძე, რომელთაც გასულ კვირას სხვებთან ერთად არ მიტოვებდნენ.

შემდეგ შალაქის თეის უფ. გ. ი. შიფინამა მოახსენა კრებას, რომ იმან ქალაქის სახელობით გაუგზავნა მოლოცვის ტელეგრამა დ. მ. ბავესიის ნამესტნიკსა და დ. ბ. ანატასია მიხეილის ასულს, ამ უკანასკნელის გათხოვების თეობაზე, და წაიკითხა ის ტელეგრამები, რომელიც იმას პასუხად

ფელტონი

ახალი ქვეყნის ამავენი

სხდში და სიზმარში ნანახი

მერ გაგვივია, წლისა რა დროა: ზამთარი, ზაფხული, შემოდგომა, თუ გაზაფხული? სიცივე ზამთრისა არ არის, სიცხე ზაფხულისა, სუნი გაზაფხულისა და ფაცა-ფუსი შემოდგომისა!

თავილი აქნობამდისინ მთებიდგან გვემუქრებოდა, მაგრამ ბარათ ჩამოსვლას ვერა ჰვედავდა. ამ დღეებში კი იერიშით ჩამოვიდა; მას მოემარნენ ქარი და წვიმა, მაგრამ მაინც კიდევ დამარცხებული დარჩა—უკან დაბრუნდა და დასტოვა თავისი კვალი—ჭყაპანა ტალახები. ახლა მთებზე დაბანაკებული გამოჩემული გადმოჰყურებს.

ამ გვარივე სურათს წარმოადგენს პრეთინიც.

ამას წინათ მე პირობა დავდევი, რომ ვილაპარაკო შეძლების დავგარად აქაური ხალხის ხასიათზე და იმათ ცხრებებზე.

სული იმაზე არ არის, როცა კაცი ჰპირ-

დება რასმეს; ამაზე უტუდესი არაფერია, როცა კაცი დაჰპირდება და აღსრულებას ვერ შეიძლებს. ჩვენში პირობის მიცემა „ჰორალოს“ თქმაზე ადვილია, მაგრამ ჩვენში ბევრი თქმა და პირობის მიცემა ქარ-მტვერად იქცევა. შეცდები ჩემი თქმაც ქარად არ გილიქცეს და შეძლების დავარ შეუდგები ჩემის პირობის აღსრულებას.

ლივანის დედა-ქალაქად ითვლება პრეთინი. პრეთინი დვას ჰოროხის მარჯვენა მხარესა და გამოჩემული ერთ მაღალი მთის კალთაში. ის განიყოფება შედ მაჰლად შემდეგი სახელებით: საიფეთი, ღარა-მაჰლა, მორთა-მაჰლა, დუზ-მაჰლა, სასაფლო, პორზა და პოლოს-მთა. ხიდის თავიდგან, რომელსაც აქაურები ხიდი-გლუხს უძახიან, აღის ერთი უშველებელი აღმართი; ამ აღმართით ასვლა არა თუ კაცს კარგ ცხენსაც გაუჭირდება. აქეთა ნაწილი ამ ქალაქისა იწყობა ამ აღმართის თავიდან. სანამ ქალაქში ახვილდეთ, მარჯვენა მხარეს კლდებზე ნახეთ ძველს ციხეს.

შალაქში შეხვალთ და ვერაფერს ვერ დაინახავთ ორლობის გარდა. მუხები ვიწროები, სახლები ერთმანერთზე მიკ-

რული. პრეთინი რომ ვაკე ადგილას იყოს მდებარე, მაშინ იმის სამ-ოთხ სართულიანი სახლები შეადგენდნენ მშენიერს ევროპიულს ქალაქს. ამ ნაირი ერთმანერთზე გამჯდარი სახლების შუა ცხვირში დაგვეცმათ მშენიერი ზამბახის სუნი. დიდი საანგარიშო და საჭირო სამმართველები თავისუფლად ქუჩებს გადმოჰყურებენ და ჰაერს ამკობენ ყნოსვითა კეთილითა. ამ ნაირი უწმინდური და ჰაერის გამაფუჭებელი ნივთების სიუხვის შემდეგ ჰვა პრეთინში ჩინებულია: ზაფხულში გრილა და ზამთარში ცხელა. ჰაერის სიგრილე და სიმთელე ჰოროხის დელის ბრალია. აქ მუდამ ჰაერის მოძრაობაა.

პრდანუჯი ჰაერის შესახებ წარმოადგენს სულ წინააღმდეგ: ზაფხული ცხელი და სულის დამსუთავი იცის; ზამთარი—გრილი. ზაფხულში სიცხის გარდა კოლორებმაც იციან აქ აღამიანების გაწვალება.

ამის მიზეზი ის არის, რომ პირველად ადგილი კლდოვანია და ზაფხულში თორნესავით გახურდება ხოლმე; მეორედ, რომ გარემოში სულ შემოზღუდულია მაღალი მთებით, რომელნიც ჰაერის

მოსვლოდა პეტერბურგიდამ. ამას გარდა უფ. ი. შიფანმა სტეკა კიდევ რამდენიმე სიტყვა იმაზედ, რომ ყველა ის ცუდი ხმები, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებულია ახლანდელ ძალაქის რჩევაზედ და გამგობაზედ (დუმაზედ და შარავზედ) საფუძვლიანი არ არიანო. ამის დასამტკიცებლად იმან მოიყვანა შედარებითი ციფრები უკანასკნელი ხუთი წლის ქალაქის შემოსავლისა, რომლიდანაც სხანს, რომ ქალაქის ხაზინას ჰქონია შემოსავალი.

Table with 2 columns: Year and Amount. 1875 წელს — 345 ათასი მანეთი, 1876 — 346, 1877 — 414, 1878 — 430, 1879 — 520.

უფ. დ. ი. შიფანმა განმარტა ამასთანავე—თუ როგორი ძალაქის თავი გვეჭირება ჩვენ, რა უფლება და მოვალეობა აქვს ძალაქის თავსა და შემდეგ წინადადება მისცა კრებას, რომ ხოთოცეულმა ხმოვანმა წერილებით გამოაცხადოს—თუ ვინ არის იმის კანდიდატი და ვის უნდა უყარონ კენჭი. სანამ ამ საქმეს შეუდგებოდნენ, აწიკითხეს წიგნი თ. ივანოვს. თუმანოვსა, რომელიც აცხადებდა, რომ მც ამ ქაზად არ შემოდის ქალაქის თაობაზე და თუ ვინმე ჩემი კანდიდატურა წამოაყენოს, იცოდეთო, რომ მც უარს ეთმობო.

Table with 2 columns: Name and Amount. შერილებით მოუყვინდო ხმა: ანტ. ს. შარანოვს — 8, დ. ი. შიფანს — 7, პ. ა. ბებუთოვს — 5, ტ. ა. ხოჯაშინასოვს — 5, ლ. კ. შლიშინოვს — 5, არ. ა. თამაშვევს — 4, ნ. დ. ზუბალოვს — 4, იაზ. თუმანოვს — 4.

მოდრაობას უშლიან; მისთვის ციფრ-ციფრებად უხვად ვახლავს ზაფხულში. მცოვრებელთა რიცხვი ართვინში ავა ათას ხუთასამდე. მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებსა არის ფრანგები, იმათზე ნაკლებ თათრები და სომხები. შრანგებს აქვთ ოთხი ეკლესია; ერთი იმათგანი არის საეპისკოპოსოსო სომხებს ერთი ეკლესია აქვთ, თათრებს ორი ჯამი. შრანგების ერთ ეკლესიაში არის სასწაულ-მომქმედი ხატი, დარჩენილი ძველად ქართველებისაგან. მე არა მინახავს, მაგრამ ამბობენ, რომ ზედ ქართული ნასაყდრი ყოფილა. ართვინში ადგილის ძვირობა და ვიწროობა, ისე რომ ქალაქი აქნობამდის სასაფლავოს ადგილი არა ჰქონია. ცოცხლებზე მომეტებულად მკვდრები ყოფილან ვიწროობაში: ყველა სახლს ეკლესიის წინ თავისი დანიშნული ადგილი ჰქონია; რამთონიც მოკვდება თურმე, ყველას ერთს საფლავში ჰმარხავდნენ ისე რომ ერთ საფლავში ოცი კაცის ძვლები იმარხება. წარმოვიდგენ რამდგომარეობაში უნდა იყვნენ ისინი!.. ახლაც დაშლილია. ართვინელი და არდანიუჯელი სომხები

Table with 2 columns: Name and Amount. ლ. უარ. მელიქ-ბეგლიაროვს — 4, ივ. სტ. ხატისოვს — 3, ბ. ბ. მანგულოვს — 3, ნ. ი. ამატუნის — 2, მ. ი. ალიხანოვს — 2, ა. ა. ხარაზოვს — 1, ა. თ. შრიდონოვს — 1, ი. ბ. შრიდონოვს — 1, მ. ი. დოლუხანოვს — 1.

ამ ნაირად სულ 17 კანდიდატი აღმოჩნდა ძალაქის თავის თანამდებობაზედ. მაგრამ ამათში, საის წაკითხვის შემდეგ, თორმეტმა კაცმა უარი განაცხადა; დარჩა კენჭის საყრდელ მხოლოდ ხუთი შემდეგი კანდიდატი: დ. ი. შიფანი, ნ. დ. ზუბალოვი, პ. ა. ბებუთოვი, ტ. ა. ხოჯაშინასოვი და არ. ალ. თამაშვევი.

პრებამ გადაწყვიტა, რომ რადგან ხუთი ყუთი არის ხუთსავე კანდიდატს ერთად უყარონ კენჭი.

Table with 2 columns: Name and Amount. შიფანი თეთრი კენჭი შავი: დ. ი. შიფანმა — 13 — 51, პ. ა. ბებუთოვმა — 20 — 45, ტ. ა. ხოჯაშინასოვმა — 19 — 45, ნ. დ. ზუბალოვმა — 12 — 52, ა. ა. თამაშვევა — 21 — 44.

ამ ნაირად, რადგან ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ჯეროვანი უმრავლესობა ხმისა (სულ 65 მკვერტე იყო, 33 ხმა უნდა მოსვლოდა), ამის გამო ყველა გაშავებული დაჩინდა, კრების გარდაწყვეტილებით, მომავალ კვირას, 28 იანვარს, იქნება ხელ-მეორედ კენჭის-ყრა თეთლ ხის ძალაქის თავის ამოსარჩევად.

Table with 2 columns: Name and Amount. ივანოვი — 11, ივანოვი — 11, ივანოვი — 11, ივანოვი — 11, ივანოვი — 11, ივანოვი — 11, ივანოვი — 11, ივანოვი — 11, ივანოვი — 11, ივანოვი — 11.

ბი შეადგენენ რალაც სხვა გვარს სომხებს; ისინი არა გვანან არც აზრუმელ, არც შარაბადელ და არც ძალაქელ სომხებსა. როგორც ტანით, ისე ტანისამოსით ისინი განირჩევიან იმათგან. აქაური სომხები არიან მდებალი ტანისა, არიან ლამაზები, შავი თვალ წარბები ამშვენებენ იმათ თეთრ-ყირმიზა სახეებსა. წითელი ფესი, ვიწრო თავიანთი მოქსოვილი შალის მეგრული შალეარი, მოკლე შიკვა-ჩოხა, ქალამანი ანუ უბრალო წაღები და თავიანთივე მოქსოვილი მანუხი ხეილაგი შეადგენს კაცების ტანისამოსს.

ძალები სილამაზით უკან არიან კაცებზე. მეთრი მარამაშის ლეჩაქი, რომლით ბებრულად იხვევენ ყელ-ყურებს; ახალუხისავეთ უნაოკო მოკლე ყაფთანი, რომელიც თავისუფლოთ ნებას აძლევს, რომ გამოჩნდნენ წითელი პერანგი და იმის ამხანაგი, წითელი ან ყვითელი მესფაბუჩი (ფუნსაცმელი), წელზე დიდი სარტყელი, უკან რალაც გვარი შავი აბრეშუმის ფუნჯები და წინ ბანბეული ფართუი; შუბლზე და ყელზე ოქროები—ამკობენ აქაური სომხების ქალებს.

დღიური * * ჩვენ გვითხრეს, რომ შიფანის მი სდგება წრე, რომელიც აწიკითხეს ქალაქელი მუხეუმის გამართვას. ამ მუხეუმთან, როგორც გვითხრეს, სხვათა შორის, ისტორიული ბიბლიოთეკაც იქნება. ამბობდნენ, რომ წესდება ამ წრისა უკვე შედგენილია და ამ მოკლე დროში მთავრობას წარუდგენენ დასამტკიცებლათო.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენი ქვეყანის მუხეუმი იმისთანა კაცის ხელშია და ისეთის წესით არის დადგენილი, რომ იმისაგან ათასში ერთს არ შეუძლია სარგებლობა; თუ მივიღებთ ამასთანავე მხედველობაში კიდევ იმ გარემოებას, რომ ჩვენში ბევრი, ძალიან ბევრი ხელთ-ნაწირო წიგნი ფუჭდება და იკარგება კერძო პირების ხელში და ეს მუხეუმის ბიბლიოთეკაც იქნება ყველა ამ წიგნებისა და აგრეთვე ძველი ნივთების მოგროვებას, — თუ ყველა ამას მივიღებთ მხედველობაში, ამი მუხეუმისა და იმასთან სხენებული ისტორიული ბიბლიოთეკის გამართვა, რაღა თქმა უნდა, რომ ძალიან სასიამოვნო და ხანგრძლივი მოვლენა იქნება.

* * ჩვენ გვითხრეს, რომ სოფ. საგარეჯოს „დამზოგველი ამხანაგობის“ (დებოს) საქმე ამ უკანასკნელ დროს ცუდათ წაერდა; გამგებელნი უზომოდ ხარჯავენ ფულსა; დანაწილარს, სხვათა შორის, წელიწადში 900 მანეთს აძლევენ ჯამაგირსა და სხე. იქნება ეს ამბავი მართალი არ იყოს, მაგრამ მით უფრო მოვალენი არიან ამ საზოგადოების მოთავენი, რომელთაც იმ თავით ისე კარგად წაიყვანეს საქმე, რომ წელიწადში ერთხელ მაინც საქვეყნოდ გამოაცხადონ ხსენებული დებოს

ართვინის, არდანიუჯის და არტანის თათრები წარმოადგენენ ახალციხელ თათრებს. ისინი ისე განირჩევიან აჭარის, მაჭახელის, ბორჩხის, ბათუმის და შავშეთის თათრებისაგან, როგორც ქართველები მეგრულ-გურულენისაგან. პირველივე მხედველი გარჩევთ აქაურ სომხებს თათრისაგან, თუმც ტანსაცმელში არაფერი განსხვავება არა არის; სომხები მოძრავი, ცქერტნი არიან, თათრები წყნარი და ზანტი მოძრავი, მასთან მშვიდნი სახისანი.

მათრის ქალების ტანსაცმელი უკვე იცით. ბევრნი იმათგანი ხმარობენ ქართულ ქაბას; თუ სასწაული მოხდა და სადმე დაგენახათ თათრის ქალი ქართულ ქაბაში, ვერ გარჩევთ—ქართველი ქალია თუ თათრისა. მეტადრე ბევრებში არიან იმისთანები, რომელნიც წარმოადგენენ წამდვილს მართლის აზნაურს. თუ ვახეთ დებუტატებში არდანიუჯელი მშინ-აფენდი, აბა რითი განირჩევა ის ქართველისაგან! ართვინელი სომხები—კაცები თუ ქალები—არიან შრომის მოყვარენი. შევლეთ ართვინელმა იცის ორი-სამი ხელობა. ძალები მანუხების, სამოსელის, ქსო-

შემოსავალ-გასავალი, ვაჭრობის წარმოება, წევრების რიცხვი, მოგება ან წაგება და სხვა.

* * * არტანუჯის იწერებიან სომხურს განეთს „მელუში“, რომ არტანუჯისა და ახალქალაქს შუა სოფლებში რაღაც ნაირი სატყეო არის გავრცელებული.

უსხო ქვეყნები

ოსმალეთი

ოსმალებს ჩატალჯისთან ჰყავსთ ჯარები მომზადებული იმისათვის, რომ როგორც რუსები მიატოვებენ აღრიანოპოლს, იმ წამსვე დაიჭირონ ეს ქალაქი ამ ჯარებითა.

რაც შეეხება რუსებისაგან აღმოსავლეთ რუშელიის მიტოვებას, ამის თაობაზე ერთს ფრანკიცულს გაზეთში მოყვანილია შემდეგი სიტყვა, რომელიც უთქვამს რუსის სტამბოლელ ელჩს ლობანოვ-როსტოვსკის:

„მთელი ევროპა სასაცილოდ აგვიგდებს ჩვენ, ისე თუ გავედით აქედამ, რომ დამარცხებულ მტერთან მორიგების პირობა არ შევეკრათ.“

სტამბოლის გაზეთს „მაკიტში“ დაბეჭდილია სამხედრო მინისტრის ოსმან-ფაშის ბრძანება, რომელიც გაუბნავინა სელიმ-ფაშისათვის, რომ ვინც რუსების ჯარისაგან მიტოვებულ სოფლებში და ქალაქებში რაიმე უწყისობა მოახდინოს, ან ქრისტიანები შეაწუხოს, სიკვდილით დასაჯეთ.

ბოლგარია.

„ქელნის გაზეთში“ იწერებიან, ვითომც იმ დეპუტატებს, რომელნიც ამ

ვაში გამოცდილი და გავარჯიშებულნი არიან. ისე ქუჩას არ გაივლით, რომ არ დაინახოთ დაზგაზე მჯდომარე ქალი, რომელიც ბეჯითათ ქსოვს ან სამოსელს, ანუ მანუას.

არც თათრები არიან ნაკლები. როგორც თათრების ისე სომხების ტანზე ვერ ნახავთ უცხო ქვეყნის საქონელს: სულ თავიანთ ხელთ-ნაქნარით იმოსებიან.

სომხები ვაჭრობენ. ისინი დადიან სტანბოლში და სხვა ქალაქებში; სხვა მოხარულნი იმით განიჩივიან, რომ ისინი „ალაფრანგა“ ტანისამოსით ფრანკობენ.

საუბედურათ, შრომას ართვიანებლებზე კეთილშობილური გავლენა არ ჰქონებია: ცუდლუფტი, მატყუარი, შეუბრალება, პირმოთხუობა, ართვიანების ბუნებრივი ხასიათის ნაწილებია. მაჭობაში და ანუ სხვა საქმეში, თუ შემთხვევა ჩაიგდო, თავის პიროვნული სარგებლისათვის მამას გაჰყიდის, ერთი სიტყვით ქრისტე პროდალენობი არიან.

მომეტყულებელი თათრები მიწის მუშაკნი არიან და უფრო მეტობას მისდევენ; ბალიდან შემოსული ხილი მიჰქვთ სხვა

მოკლე ხანში შეიკრიბებიან ტირნოვოში ბოლგარიის მთავრის ამოსარჩევად, სხვათა შორის, განზრახვა აქვთ, გამოაცხადონ, რომ მთელი ბოლგარია ერთსა და განუყოფელს სახელმწიფოს შეადგენს და სამხრეთი ბოლგარიაც (აღმოსავლეთი რუშელია) საუკუნოდ განთავისუფლებული უნდა იყოს ოსმალეთის ქვეშევრდომობისაგან. ამბობენ, რომ ამ განზრახვის აღსრულებაში რუსეთი ხელს მოუწყობს ბოლგარიის პრეზას.

მითხრობენ ინგლისურს გაზეთში ამ საგნის შესახებ იწერებიან, რომ ეს იქნება ბელინის ტრაქტატის დარღვევა და უეჭველიაო, რომ ვერც ინგლის და ვერც ევროპის დანაღწივი სახელმწიფოები ამას ვერ მოითმენენო.

მინის გაზეთს „პრესში“ იწერებიან: ჩერნოგორიის მთავარ ნიკოლაის სტამბოლიდამ მოუყვია ტელეგრაფმა, რომ რა დღესაც რუსეთსა და ოსმალეთს შუა საბოლოო მორიგების პირობა იქნება შეკრული, იმ დღესვე ოსმალები გაიყვანენ პოდგორციდამ თავიანთს ჯარებს და ამ ნაირად შეასრულებენ ჩერნოგორიის მოთხოვნისაგან.

რუსეთი

კუბანში, 10 იანვარს, მორჩა ახალწელიწადიც და წყალ-კურა ხევაც. ბათაედა აქაური ქეიფიც. შუხაში აღარ ჰყრიან მთვრალი ქალები და კაცები. პოლიციამაც შეისვენა, ქუჩა-ქუჩა აღარა ჰკრეფენ მთვრალეებს.

ბამოიჩინა აქ წყალ-კურთხევამ თავის ჰუნარი: დასწია რეკომურის ტერმომეტრი 15—16 გრადუს სიცხემდის, მაგრამ ეს ხუთმეტრი გრადუსი სიცხე ისე საგრძნობელი არ იყო აქ, როგორც ჩვენში

ქალაქებში და სცვლიან პურზე. თუ სტანბოლში ანუ სხვა ქალაქში სტაქვი, ართვიანელი ვარ, ყოველა ღირსება დაგეკარგება.

ართვიანის ღირსებას ამაღლებს აქაური ზეთის-ხილის ხეები.

აქაური სომხური ენაც სხვა ფერია. ის არა ჰგავს არც აზრუმულს, არც მარაბალულ და მალაქურს ენას. შრევენ ბევრს „ელისა, ალისე“ და ბევრი „ლოსე“. მაგალითად: „ასულისე, კოსელისე, გნალისე, ანელისე“.

მითქმის მეათედი ნაწილი აქაური სომხური სიტყვებისა ქართულია. მეტადრე ქალები ურევენ ბევრს სიტყვებს; მაგალითად ისინი ამბობენ: „იმ დედი ბიძა ქალაქ გნალისე“ (დედა ჩემის ბიძა ქალაქს წასავლელია). „მო ბიძა ქერა გოგონა წაბლიე აქლოკუმ“ (ბიძა შენის ქერა ქალი წაბლოს ჰკრეფავს). „მის ქო მამან, ხილი გლუხ ტესა (მე მამა შენი ხილის თავზე ვნახე) და სხვა.

აქაური თათრებს ქართული ენა სრულიად დაჰვიწყებიათ ისე, რომ აქ ქართული ლაპარაკი იშვიათი სასმენია.

არღანუჯის უჩასტკაში ათი სოფელია, რომლებსაც „ბურჯი-შოვს“ უძახიან. ამ

ექვსი და შვიდი გრადუსი გეგონობიწებს. ისეთი წყნარი, მშვენიერი სოფელია, რომ სიცხეს მარტო ყურებში ჰგრძნობენ.

წერ ამ 1879 წელიწადში არაფერი კარგი და ავი არა გამოჩინა. მაღლობა ღმერთს, წელს ჯერ არც ერთი ბანკი არ გაკოტრებულა, არც ერთ ნაკირს არ მოუტაცია ფულები!

მაგრამ ეს ახალი წელიწადი მინასათვის იყო ბედნიერი. მის არახსოვს ის ჩვენი ქარაშეებულო მინასა აღაჯანოვი, ის მინასა, რომლის მამამაც მშრალ პურში სული ამოირთო, რომ მისს შვილს თავის ცხოვრება ზანგერის და აბარინოვის გულში ჩაეტყობილა? ის მინასა, რომელიც ბოლოს მოსკოვში დაუკმაპურს ნატრულობდა, აქეთ-იქით ფულს მუხლის ჩოქით სესხულობდა და ყინულზე დაწერილ ვეჭვილებს აძლივდა! ამ მინასათვის იყო ბედნიერი შარშანწინდელი და შარშანდელი ომი ოსმალეთსთან: იმ ომსავე შემდეგ იყო

აქ ჩამოვიდა ერთი ყმაწვილი წაცი, რომელიც ამ ომანობაში გამდიდრდა. ამ ყმაწვილს კაცმა თავის მთარელობას ქვეშ აიყვანა ეს მინასა და აძლივდა ხოლმე სხარჯავს. ბოლოს, რომ ესეც მოგზავდა ამის ტლანგვისხან, უკანასკნელად მისცა რამდენიმე ათი მანეთი იმ პირობით, რომ ერთი შინაგან სესხის მოგებანი ბილეთი ეყიდნა. მითონვე გაჰყვა ბანკირ მაველობერთან და აყიდინა ის ბედნიერი ბილეთი, რომელმაც ორასი ათასი მანეთი მოაგებინა.

აქას წინეთ მოგწერეთ, რომ მასკარადები დაიწყეს; ეხლა კოსტუმიროვანი საღამოებიც მიიყოლეს. ზედა ამ ორი დღის წინეთ „ხულოქნიკებს კლუბში“ კოსტუმიროვანი საღამო იყო მართლად კარგი რამ სანახავია ეს აქრეღე-

ათ სოფელში ლაპარაკობენ წმიდა ქართულს; ისინიც არღანუჯიდგან შორს არიან. იმ ათ სოფელში შესანიშნავია „ბევრად“ სოფელი, საცა მოჰყავთ მშვენიერი ყურძენი და ღვინო. აქაური ყურძენი შემოდლია შევდარო მანეთისათან; რომ ღვინის დაზადებაც იცოდნენ რიგზე, არც ღვინო „ქვალდას“ იზამს კახურ ღვინოსთან!

ამათთან რომ დავიწყებ ლაპარაკს ამათ ჩამომაველობაზე, მაშინვე შევაშინე, რომ სხე მოელრუბლებათ, გეგონებათ იმის თქმა უნდათ:

— ჩვენც ვწუხვართ მაგისთანა ძვირფასი საუნჯის დაკარგვისათვის; მაგრამ რა ვქმნათ?

მალაქილამ მოსულმა დეპუტადმა — არღანუჯელმა მინ-მთენდმა გამაკვირვა: რა ნაირ აღტაცებაში იყო, რომ მაგრე მიეღოთ ისინი ოსტელისში, ამბობდა: „ასი ათას ყურუშს მივცემდი იმწამს, რომ ჩემთვის ვისმეს ქართული ესწავლებინა!“

ს. ბაგრატი

არღანუჯი, 10 დეკემბერს.

(მაგრადობა)

ბულ ტანისამოსიანი საღამო. ამ საღამოს თორმეტი უმაწილი კაცი ჩაცმული იყვნენ ნახევარ გვერდი თეთრი და ნახევარ გვერდი შავი ტანისამოსით. მსენი წარმოადგენდნენ ადვოკატებს. როცა თეთრი მხრით ბუქნავდნენ, მაშინ დამღერით ჩამოთვლიდნენ ადვოკატების კარგ და კარგ საქმეს, მაგალითად დაჩაგრულის გამოსარჩლებას და სხვა ამ გვარს; როცა შავი მხრით, მაშინ ძროხენებერლის, ურუსოვის და ამ გვარების გამოსარჩლებას. ამ საღამომ ძრიელ აგრძობინა ადვოკატებს თავიანთი სულის მახინჯობა.

ამ ადვოკატების გახსენებამ მამაგონა ერთი პროექტი იუსტიციის მინისტრისა, რომელიც სახელმწიფო რჩევაში გაცურდა. მინისტრს უნდოდა, რომ ნაფიცი ვეკილები მის კონტროლის ქვეშ ყოფილიყვნენ და თუ რომელიმე არ მოეწონებოდა, ყოვლის უმიზნობად დაეთხოვნა და ავკრძალა საუკუნოდ მისთვის ვეკილობა. ნაფიცი ვეკილებმა დიდ მთავარ მოსტანტინეს გაუგზავნეს დეპუტაცია, როგორც სახელმწიფო რჩევის პრეზიდენტს, აუხსნეს იმ პროექტის მოუთავსებლობა, რომ ეს პროექტი ფესვიდანვე ჰკვეთავს იმ უმთავრეს უფლებას, რომელიც იმპერატორმა მისცა რუსეთს, ესე იგი სასამართლოში თავისუფალი სიტყვის წამოთქმისა, და ამით ჩაიფუშება უმთავრესი აზრი სასამართლოს რეფორმისა. დეპუტაციამ სთხოვა, რომ ეს პროექტი არ დაემტკიცებინა სახელმწიფო რჩევას. ამათი თხოვნა შეიწყნარეს და პროექტი არ დაემტკიცეს.

მხლახან მოვიდა აქ გამოჩენილი მხატვარი, სახელად პარლო, რომელიც კონცერტის დროს, მინემ ერთ პიესას დაუკრავინ, ეს ერთ რამე სურათს ჰხატავს კრასკებთ, რანაირსაც მსმენელები სთხოვენ. მაგალითად, ამ ოთხი დღის წინედ „ხუდოქნიკების ძღუდის“ ზალაში კონცერტის დროს 38 მინუტში დახატა ერთი სურათი, რომელიც წარმოადგენდა დილას ტბაზე, როდესაც ნზე ამოდის. მართლად მშვენიერად დახატა და იქვე გაყიდა 250 მანეთად. მეორე სურათი 30 მინუტში დახატა, რომელიც წარმოადგენს ცეცხლ-წყვილებულ ტყეს; ესეც კარგი მშვენიერი რამ სანახაფია და კარგ ფასათაც იყიდეს, ზგონი 200 მან.

თი სურათი, რომელიც წარმოადგენდა დილას ტბაზე, როდესაც ნზე ამოდის. მართლად მშვენიერად დახატა და იქვე გაყიდა 250 მანეთად. მეორე სურათი 30 მინუტში დახატა, რომელიც წარმოადგენს ცეცხლ-წყვილებულ ტყეს; ესეც კარგი მშვენიერი რამ სანახაფია და კარგ ფასათაც იყიდეს, ზგონი 200 მან.

სტ. მ—ლი

განცხადება

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში
იხილება ყოველნაირ ახალი მართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღს ზემოდა, მაშვეთის ეკლესიის ქვევით ლუქნებში. ბარემე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

(5—3)

მიიღება ხელის-მოწერა ჟურნალზე „ОБЗОРЪ ГРАФИЧЕСКИХЪ ИСКУССТВЪ“

(Журналъ печатнаго дѣла)

წელიწადში ეს ჟურნალი ღირს: გაუგზავნელად—4 მან., გაგზავნით—5 მან. მდიდრული გამოცემა, ჰოლოანდის კარგ სქელს ქალაქზე—წელიწადში 15 მანეთად.

ხელის-მოწერა მიიღება თფილისში, უფ. სტ. მ. მელიქიშვილთან, საკუთარს ტიპოგრაფიაში, ბანოვის ქუჩაზე, ანუ პეტერბურღში ხსენებული ჟურნალის რედაქციაში: ნების პროსპექტზე, № 5.

(3—3)

პირუტყვით მზარავლები ქაჯი ბაღოშის წვერნი და გაუფრთხილები ნი, ვისთვისაც ეს საგანი საინტერესოა, მოწვეულნი არიან მობრძანდნენ ამ საზოგადოების საერთო კრებაზე, ამ იანვრის 20-ს, ძავეასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში, ალექსანდროვის ბაღში, ბარიათინსკის ქუჩაზე.

ამ კრებაზე არჩეული უნდა იქმნენ საზოგადოების თავს-მჯდომარე და იმის თანაშემწე, წაიკითხავენ აგრეთვე წარსული წლის ანგარიშს საზოგადოების მოქმედებისას და განიხილვენ ზოგიერთ სხვა საგნებსაც.

(3—3)

დაიბეჭდა და იხილება საქართველოს

კალენდარი

შანი 20 კაპეიკი
შედგენილი ი. ლიპისაგან და გამოცემული მკ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. ბორში: ძამოვეის მაღაზიაში. მუთაისში: ძ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. შოთში: მლისბარ ბაბალოვთან, მსურგეთში, ბრიგოლ ჯინჯარაძის მაღაზიაში.

მინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.

იხილება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

„პეროსტატი“

ამედიო ოთხ-მოქმედებად, თხზულება მ. ჯორჯაძისა

რ. მზა.	დღია.	საღა.	II კ.	III კ.	ბელგრაუმი	მანკაპ.	მაზანდა	მანკაპ.	თფილისის საგაზრდო.
თფილისი	9 21	5 18	მ. კაპ.	მ. კაპ.	მ. ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 18 იანვარს.		პრევენს მადანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ძავეასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	ფქვ. თფთ. ბანჯ. სა, ფთ.	1 80	აგათმყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დღის 9 საათიდან 1-მდინ.
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	როსტოვი, მდესას, მოსკოვი	2	ქერი ფუთი	1 30	მ. რ შაბათს: მერმიშვილი და ბარალევიჩი—შინაგ. აგათ, მიუჩა-როანც—საჯარო ექიმი და საშვი-ლოს ოპერაციები.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	პეტერბურღს, ვარზაფას.	2	ბაშბა მრევისა, ფუთი.	7 50	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბ ხუტოვი—საბუბო და ბავ-შვის, პურუოვი—თვალის.
სურამი	1 44		4 42	2 46	მსმალეთში, შვეიცარიაში.	3	ამერიკისა, ფუთი.	8 60	მ. თ ხ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი შინაგანი.
ქვირილა	5 49		5 81	3 23	იტალიაში და ს. ფრანგეთში.	3 50	ბაშენტაი ბაშბა ფუთი.	9 60	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინაგ. მიუჩაროანცი—სიჭილიტიკუ-რი და საზარდვ ორგანების.
რიონი	6 57		6 75	3 75	ინგლისში	3 75	მატყლი თუ შური ფუთი.	6 50	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახუტოვი—საბუბო ქალისა და ბავშვების.
სამტრედია	7 51		7 73	4 29	ჯოჩბა		მარაქამისა ფუთი.	4 50	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბ ხუტოვი—საბუბო და ბავ-შვის, პურუოვი—თვალის.
ახალ-სენაკი	8 43		8 57	4 76	ა) თფილისიდან: სამზღვარ გა-რეთ, მუთასს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. ძა-ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთაი-სიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურ-გეთს—ორშ. და პარასკ.		აბრეშუმი ნუხური სტ.	2 10	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახუტოვი—საბუბო ქალისა და ბავშვების.
შოთი	9 50		9 75	5 42	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		მონი, ფუთი	5 70	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახუტოვი—საბუბო ქალისა და ბავშვების.
შოთი	9 3				ლია წიგნის	4	მონის სანთელი ფუთი	7 60	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახუტოვი—საბუბო ქალისა და ბავშვების.
ახალ-სენაკი	10 14		1 18	6	დაბეჭდილის (ხამი მისხალი)	8	სტეპარინის სანთელი ფუთი.	12 80	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახუტოვი—საბუბო ქალისა და ბავშვების.
სამტრედია	11 5		2 6	1 14			ხორცი ძროხისა, ლიტ.	99	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახუტოვი—საბუბო ქალისა და ბავშვების.
რიონი	12 13		3	1 69			ცხვისა, ლიტრა	1 08	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახუტოვი—საბუბო ქალისა და ბავშვების.
ქვირილა	1 18	ლაგე.	3 98	2 21			სპირტი ვედრო	4 60	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახუტოვი—საბუბო ქალისა და ბავშვების.
სურამი	5 12		1 10	5 33			შეკარი, ბროც. ფუთი	7 50	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახუტოვი—საბუბო ქალისა და ბავშვების.
ხაშური	5 39		1 37	5 84			შენვრილი ფუთი	5 60	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახუტოვი—საბუბო ქალისა და ბავშვების.
ბორი	7 5		4 87	3 6 4 9			შავა გრგვლი, გირვ.	70	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახუტოვი—საბუბო ქალისა და ბავშვების.
მცხეთა	8 50		6 59	9 8 5 4			ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	12 60	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახუტოვი—საბუბო ქალისა და ბავშვების.
თფილისი	9 31		7 56	9 75 5 42			მამბაქო, საშულო ფთ.	6 50	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახუტოვი—საბუბო ქალისა და ბავშვების.